№ 52 მარტი 10, შაბათი 1890 მარტი 10, შაბათი № 52

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ი ვ ე რ ი ა

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში**: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцiю газеты „ИВЕРIЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ქართული თეატრი

კვირას, 11 მარტს,

ბენეფისი

ე. ჩერქეზიშვილისა

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**მეორედ გაყმაწვილება**

დრამა 4 მოქმედ., დ. ერისთავისა.

II

**კატა აწონა**

კომედია 2 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

---

ტფილისი, 9 მარტი

ჩვენს გუშინდელს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ ჩვენის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველს კომიტეტს, გამგეობის წარდგენილობით, საჭიროდ დაუნახავს ხუთ სარგებლიანი გირავნობის ფურცლის შემოღება აწ არსებულის კრედიტის გასაიეფებლად. არ იქნება, ჩვენის ფიქრით, მეტი, რომ, ჩვენის შეძლებისამებრ, გამოვარკვიოთ რას მოასწავებს ეს ამბავი.

ვისაც საქმე აქვს, ან ჰქონია ჩვენს ბანკთან, იმან კარგად იცის, რომ ბანკში შემოსატანი ფული ადებულის ვალის გადასახდელად სამის ნაწილისაგან შესდგება: ერთი სარგებელი, რომელიც უკლებლივ ეძლევა გირავნობის ფურცლის მსყიდველს, თუ პატრონს, მეორე—თავნის ნაწილი, რომელიც აგრედვე უკლებლივ ეძლევა იმავ გირავნობის ფურცლის პატრონს და, მესამე—იგი ნაწილი, რომელიც თვითონ ბანკს ეძლევა თავისის ხარჯის გასაძღოლად და მოგებისათვის.

დღეს აქამომდე გირავნობის ფურცელი ექვს სარგებლიანი იყო და ვიდრე გირავნობის ფურცელს ეს სარგებელი შერჩება, შეუძლებელია ბანკმა ეგევე ექვსი სარგებელი არ აიღოს. ეს ექვსი სარგებელი გირავნობის ფურცლისა საჭირო იყო, რომ ფული მოიზიდოს, რადგანაც ყოველი სადგილ-მამულო ბანკი მარტო გირავნობის ფურცლით აწარმოებს ადებ-მიცემობას სადგილ-მამულო კრედიტისას და, მამასადამე, ამ გირავნობის ფურცლით ჰშოულობს ნაღდს ფულსა მსესხებლისათვის. ჩვენი ბანკი, როგორც სხვასთან შედარებით ახალი და ძალიან დაშორებული რუსეთის ბირჟაზედ, ვერ უშოვიდა პირველ ხანებში კარგს მუშტარს თავის გირავნობის ფურცელს, თუ სარგებლის სიდიდით არ დაეხარბებინა ფულის პატრონი. იმას აღარ ვიტყვით, რომ სულ სამი-ოთხი წელიწადია, რაც სხვა ამისთანა ბანკებმა დაიწყეს ხმარება ხუთ სარგებლიან გირავნობის ფურცლისა და მინამ აქამდე მოვიდოდნენ, ჩვენზე მეტი დრო გაატარეს.

ხოლო კარგის მუშტრის აჩენა გირავნობის ფურცლისათვის, მარტო სარგებლის სიდიდეზე არ არის დამოკიდებული. ამასთან ერთად ბანკმა ნდობაც უნდა მოიპოვოს ფულის პატრონისა, რომ ფულის პატრონს არაფრის შიში არა ჰქონდეს ჯერ იმ ფულის დაკარგვისა, რომელიც მან გაიმეტა გირავნობის ფურცლის სასყიდლად, და მერე იმ სარგებლის მიუღებლობისა, რომელსაც ჰპირდება მას გირავნობის ფურცელი. იმისთანა სარგებლიან ქაღალდისათვის, როგორიც გირავნობის ფურცელია, ნდობა თითქმის უფრო საჭიროა ვიდრე, დახარბება დიდის სარგებლითა, იმიტომ-რომ გირავნობის ფურცელი ბუნებითად სხვა მხრით არის სახარბიელო. გირავნობის ფურცელი იმისთანა სარგებლიანი ქაღალდია, რომელსაც ძირში უდევს უძრავი ქონება, ნახევარ, თუ ამაზე ცოტა მეტ ფასად *) გირაოდ მიღებული, და რომელსაც გარდა ამისა ბურჯად აქვს ზოგან ურთიერთი თავდებობა გირაოდ მიღებულ მამულებისა ერთიანად და ზოგან ნაღდი ფული ბანკისა იმ ზომით, რა ზომითაც თვით მთავრობაა გულშეჯერებული. ამიტომაც გირავნობის ფურცელი ყველა სხვა სარგებლიან ქაღალდებზე სანდო ქაღალდია, რასაკვირველია, სახელმწიფო ბანკის ქაღალდებ გარდა.

სხვა სარგებლიან ქაღალდს ჰთავდებობს თვითონ საქმე, რომლის საწარმოებლად გამოცემულია და რომელიც გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებაზე უფრო ფუქსავატია, უფრო მიუნდობელი, ჯერ იმიტომ-რომ ბუნებითად ხელში დაუჭერელია და მერე იმიტომ-რომ განსაცდელიანია და სათვალთვალო.თუ საქმე წახდა, შესაძლოა ისე წახდეს, რომ წანახედის საზღაურად მისი ნაფლეთებიც ვეღარსად იპოვებოდეს. უძრავ ქონების ეგრედ წახდენა-კი მეტის-მეტად ძნელად მოსაფიქრებელია და რაც გინდ დაემართოს ბანკს, უძრავი ქონება ხომ—სხვა არა იყოს-რა—ძირს დარჩება, რომ ზარალს პასუხი გასცეს და ფულის პატრონს მისი უზღოს ცოტად თუ ბევრად.

*) ჩვენი ბანკი ნახევარს იძლევა იმისას, რაც მის აზრით, მამული ჰღირს, რუსეთის ბანკები იძლევიან $^3/_5$ ნაწილს მამულის ღირებულობისას, სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკს ნება აქვს ამაზე მეტიც აძლიოს, ხოლო იშვიათ შემთხვევაში, რომელიც გადაჭრით ნაჩვენებია წესდებაში.

---

## ფელეტონი

ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

VII*)

ნიკოს სახლის აივნის წინ ორმოციოდე ცლეხ-კაცი ნიკოს მხურვალე ლაპარაკს ყურს უგდებდნენ. სახლის უკანა პირის ერთს სარკმლიდგან ოდნავ გამოსჭუოდა ლამფის შუქი. გარედგან სარკმელს ვილაც მოეპარა და მალვით ოთახში ყურება დაიწყო.

— აქ არის, წამოთქვა იმან ჩუმად. მაგრამ ჯერ ადრეა; მაინც მოვიცდი, იქნება დღეს უფრო ადრე დაიძინოს და მაშინ... უჰ, ნერწყვი მიშრება პირში... ნეტა მალე გაიხადოს ტანთა...

რამდენსამე წამს ჩუმად კედელზე მიყუდებული იყო. უცბად სარკმელი გაიღო.

— შენა ხარ, ბიჭო გიგლა! რას ატუზულხარ მანდა, ან რას დუდღუნებდი!—დაუძახა ლათომ.

გიგლამ დამალვა ველარ მოასწრო; სარქაროზე გასწორდა და მორცხვად უპასუხა:

— ისე, არაფერი გოგო, მოხუცისათვის უნდა დამეხედნა, შენ არ მეგულებოდი...

— რატომ არ შემოხვალ, შვილო? ვის ერიდები? მოისმა კვნესით მოხუცის ხმა.

ლათომ სარკმელი დახურა. გიგლა პატარახანს კიდე გაჩერებული იყო, მერე ტანისამოსი გაისწორა და შევიდა.

— შემოდი, შვილო,—მიჰმართა მოხუცმა კვნესით: მე მეგონა... კამბეჩი აჰყუდებია კედელს და ზურგს იფხანს მეთქი. ლათოს უთხარი, გაეხედნა... სოსე რომ არ მეგულება, ასე მგონია, ყურის მგდებელი ალარავინ არის მეთქი... იქნება ბაკში ჩაგდება დაავიწყდათ-მეთქი... რა ვიცი...

— ეგ როგორ დამავიწყდებოდა!.. წაიდუდუნა გიგლამ.

— როგორ დაავიწყდებოდა! გააჯავრა ლათომ, რომელიც მოხუცს ლოგინს უსწორებდა; შენ არ იყავი, შე თავ-დიდა, წუხელის ძროხა გარედ დაგრჩენოდა? როგორ დაავიწყდება! რას მომჩერებიხარ? ვერ მიცნობ ვინცა ვარ, შე ჩლახუნა შენა!..

— ნუ უჯავრდები, დედა, უთხრა ალერსით მოხუცმა, რა უყოთ, კაცს დაავიწყდება.

— რაღა ყველაფერი მაგას ავიწყდება! უი, მეხი-კი დაგეცეს; დაილრიჯე! დაილრიჯე! მაშ თუ ბატონს არ მოვახსენე, შენ რომ ტყუილად დაჩერჩეტობ და ქალიც არ ვყოფილვარ!

— რა დაგიშავე, გოგო, ჰა, დააყვედრა გიგლამ, რაზე მაბეზღებ ერთი? ჩემ ცოდოში რაზე დგები; მერე რო გამაგდოს?! ვინ შემიშვებს სახლში! არ გეცოდები მაინცა! რა ვქნა, ღმერთმა ასე გამაჩინა; უხეირო ვარ, არა შემიძლიან-რა. ჩემ უილბლობას რაღა შენი ცეცხლი უნდა! დაუმატა გიგლამ ხმის კანკალით და სახე კედლისკენ მიიბრუნა, თითქო ცრემლები უნდა დაემალოსო.

— გეხუმრება, შვილო, შენ როგორ დაგაბეზღებს!

მოხუცმა თავისი ტკბილი სახე ლათოსკენ მიიბრუნა, რომ იმით იმისაგანაც გამოეწვია ტკბილი სიტყვა. ლათო სრულებით არ მოელოდა, რომ იმის სიტყვები გიგლაზე ასე ძრიელ იმოქმედებდა. გიგლა და ლათო ყოველთვის ერთმანეთს თითქო განგებ ჯიბრში უდგნენ. გიგლა ისე არ გამოელაპარაკებოდა ლათოს, რომ არ გაეჯავრებინა; ლათოც ისე არ გაუვლიდა გვერდზე, რომ არ დაეწყევლა და ქოქოლა არ მიეყარა გიგლასათვის. რაც უფრო მეტს ჯავრობდა ლათო, გიგლას თითქო უფრო ის ესიამოვნებოდა და უფრო მეტს იცინოდა. რა ლექსით არ იხსენიებდა გიგლას ლათო: ბრმა, ბრუტიანი, ჩლახუნა' დაფეხვილი, კოჭლო-კოჭლო ჩარუხა, ფახუნა, ჩათოხნე, დიდ თავა, ბორბალა, სადღვებელა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენისა და რა უცნაურ სახელებით იხსენიებდა. გიგლა სულ ღიმილით ისმენდა ამაებს. იმათი ამ ნაირი ერთმანეთობა მთელის სოფლის გოგოებმა იცოდნენ. გოგოები ისე არ შეხვდებოდნენ გიგლას, რომ არ ეკითხნათ: დღეს რამდენი „ფეხი და ხელიაო“ ე. ი. რამდენი სახელი გქვიანო. ეს „ფეხი და ხელიც“ გიგლას ეშმაკობით იყო მოგონილი: როდესაც ლათო გაჯავრებული ამ სიტყვებს მიაყრიდა, გიგლა სიტყვების თვლას დაიწყებდა ჯერ ხელების თითებზე, მერე თუ გადაცილდებოდა, უცბად ჩაჯდებოდა და ფეხის თითებზე დაიწყებდა თვლას. ამ დროს ლათოს ყოველთვის გაეცინებოდა ხოლმე, თუმცა სიცილშიაც არ აკლებდა წყევლას. ამ ნაირი ერთმანეთობა იყო მათ შორის და ეხლა-კი სიცილის მაგიერად გიგლამ ხმის კანკალით, თითქმის ტირილით უსაყვედურა. ლათოს ეწყინა, გული დაეწვა, რაღაც სინანულმა გაურბინა გულში, თითქო შერცხვა თავის სიტყვებისა, განგებ შეკრული კოპები გაიხსნა, სკამიდგან ბალიში აიღო და თითქო შერიგების ნიშნად თავისებურისავე კილოთი უთხრა:

— რას ატუზულხარ, ბუხრის ანგელოზო! აი სკამი, დაჯექი.

— ბუხრის ანგელოზოო!! გაიცინა მოხუცმა და გიგლას მიმართა: მოდი, შვილო, დაჯექი. გეხუმრებოდა, ჩხუბი ნუ მოგივათ, და-ძმანი ხართ.

გიგლა ღიმილით წამოვიდა დასაჯდომად: „ესეც ოთხი ხელი, ხუთი ფეხი და ორი თითი“. უთხრა მან ლათოს.

— შენ თვალე, მაიმუნების მაჭანკალო, სხვა რაღა დაგრჩენია!

მოხუცს სიცილი აუტყდა და მოჰყვა ხველას. გიგლაც ღიმილით ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა ლათოს, რომელიც ცდილობდა არ გაეცინა!

— ეჰ, ეჰ! რა მაცინებს მე უბედურს, რა მაქვს საცინელი?! წარმოსთქვა მწუხარებით მოხუცმა. ვინ იცის, რა გაჭირებაშია ეხლა ჩემი სოსე! ყველას იმ წამსვე დაუღარდიანდა სახე. ლათო გაშტერებულ თვალებს ლამპარს ვერ აშორებდა.

— შვილო, მიმართა პატარა სიჩუმის შემდეგ მოხუცმა გიგლას; სოსეს ქოხსაც დახედე ხოლმე ხანდისხან. იამება რო გაიგებს.. ვაი რომ ბატონს ხათრი ვერ გაუტეხე, თორემ მერჩივნა, იქ ვგდებულიყავ!

— ყოველთვის ისე არ ჩავივლი ხოლმე? სახლს რა უშავს!

— პაპა, მეც ყოველ დღე რამდენჯერმე ვათვალიერებ ხოლმე,—დაუმატა ლათომ.

— ჰო, გენაცვა, ჰო. მოვლილი რომ დახვდება, იამება, სულ იმის ხელით არის აშენებული. ეჰ, საცოდავს არც-კი დააცალეს გათავება! მოხუცმა ერთხელ, ორჯერ უიმედოთ ამოიოხრა და თავი აქეთ-იქით გადიქნია:

— გიგლა, შვილო, ბატონი რას ეუბნება ხალხს, თუ გაიგონე?

— ასწავლის.

— ასწავლის?! რას ასწავლის?

— ცხოვრება უნდა ისწავლოთო. მტერი მოყვრისაგან უნდა გაარჩიოთო.

— მერე ხალხი უგონებს?

— უგონებს, მაშ რა!

— სოფელი რას ამბობს?

— ემადლიელება, თვალი აგვიხილაო, ჩვენი მხსნელი არისო.

— რასა სტყუი, ბიჭო, გაუჯავრდა ლათო: მხსნელი-კი არა, ჩვენი ღმერთიაო.

— მერე მხსნელი უფრო დიდი არ არის ღმერთზე? უპასუხა გიგლამ გულუბრყვილობით.

— რას მიჰქარამ, ღმერთზე დიდი ვინ არის?

— მაცხოვარი?

— მაცხოვარიც დიდია

*) იხ. „ივერია“ № 45, 46 48, 49 და 51.

ამიტომაც გირავნობის ფურცელს იმისთანა ფულის პატრონი უნდა ეტანებოდეს, რომელსაც ოღონდ-კი ფული მკვიდრად და უშიშრად დააბინაოს და დიდის სარგებლის სიხარბე ბევრი არა აქვს რა. ამისთანა უხარბელი მუშტრის აჩენას უნდა ჰცდილობდეს ყოველი საადგილ-მამულო ბანკი თავის გირავნობის ფურცლის გასანაღდებლად. რაკი აიჩენს, მაშინ და მხოლოდ მაშინ შესაძლოა სარგებელი მოაკლოს თავის გირავნობის ფურცელს, ესე იგი, დიდის სარგებლის სიხარბე უკან დააყენოს და ნდობაზე ააშენოს იმედი გირავნობის ფურცლის რიგიანად განაღდებისა. ამისთანა მუშტარი ერთისა და ორის დღის მოქმედებით არ მოიპოვება. ამისთანა მუშტარი, რადგანაც ხარბი არ არის, ფრთხილია და, გარდა იმისა რა თავდებობასაც წარმოადგენს გირავნობის ფურცელი, უნდა რომ დრომ გამოაჩინოს რიგიანობა თვით ბანკისა, მისი სიმაგრე და სიმტკიცე.

ყოველ ამისათვის საჭიროა, რომ ბანკმა ჯერ თვითონ მკვიდრად მოიკიდოს ფეხი, წელში კარგად გაიმართოს და საკმაოდ მოღონიერდეს. უამისოდ იგი თავის გირავნობის ფურცლებს მათდა ბუნებისამებრ მსვლელობას ვერ მისცემს და იძულებულია მარტო სარგებლის სიდიდით მოიზიდოს მსყიდველი გირავნობის ფურცლისა და ამ გზით ნაკლებობა ნდობისა სარგებლის ნამეტანობით შეავსოს. ვიდრე საქმე ესეა, ბანკი ფიქრადაც ვერ გაიტარებს სარგებლის დაკლებას გირავნობის ფურცლისას, რადგანაც, ვიდრე საკმაო ნდობა არ არის, იგი ვერ იშოვის იმისთანა მუშტარს გირავნობის ფურცლისას, რომელიც არ ეხარბება დიდს სარგებელს და სწყურიან ყიდვა სარგებლიან ქაღალდისა უფრო ფულის უშიშრად დაბინავებისათვის და არა იმისათვის, რომ დღევანდელი ნასყიდი ხვალ ბირჟაზედ გაიტანოს გასასყიდად და მინამ ხელთ ექნება, ყოველ დღე შიშსა და ეჭვს ქვეშ იყოს ან ფულის, ან თუნდ სარგებლის დაკარგვის გამო.

ამ სიდიდე ნდობის მოპოებას დრო უნდოდა მით უფრო ბევრი, რომ ჩვენი ბანკი, როგორც ახალი რამ ჩვენს ქვეყანაში, იძულებული იყო რუსეთში ეძებნა გასავალი გირავნობის ფურცლებისა, რადგანაც იქ ამისთანა ბანკები დიდი ხანია მოქმედობდნენ და მაშასადამე, იქაური ბირჟა და ფულის პატრონები ცნობილი იყვნენ, რა არის საადგილ-მამულო ბანკი და მისი გირავნობის ფურცელი. ეს ხუთმეტი წლიწადი რაც ჩვენი ბანკი არსებობს, სულ ამ ნდობის მოპოებას მოუნდა და, როგორც ჩანს, ამ ხანმა ჩვენის ბანკის მოქმედებისამ ამაოდ არ ჩაიარა. დღეს ნდობა მოპოებულია, ჩვენი გირავნობის ფურცელი არამც თუ ხალისიანად იყიდება ნამეტნავად პეტერბურგსა და მოსკოვში, არამედ ჩვენშიაც და კაი ფასადაც იყიდება. ამ ბოლოს ხანებში იმისთანა დღეებიც იყო, რომ ასმანეთიან გირავნობის ფურცელში იძლევოდნენ 99 მანეთსა პეტერბურგის ბირჟაზე.

აშკარაა, რა-კი ნდობამ იმატა, სარგებელმა უნდა იკლოს, რადგანაც ნამეტანობა სარგებლისა მარტო ნდობის ნაკლებობისაგან არის ხოლმე გამოწვეული. აშკარაა, ჩვენს გირავნობის ფურცელს ის დრო მოუმწიფდა, როცა სიხარბე დიდის სარგებლისა უკან უნდა დასდგეს და ნდობის სიდიდემ უნდა ილაპარაკოს. ნდობა დღეს იმოდენად გადიდდა, რომ საკმაოა მოიზიდოს ფულის პატრონი, უხარბელი სარგებლისა და მწყურვალი მხოლოდ ფულის უშიშრად დაბინავებისა, თუნდ ცოტა სარგებლითაც. დრო გამოაჩენს, რასაკვირველია, რამოდენად მართლა და ზედ-მიწევნით გამოცნობილია ამ ნდობის სიდიდე დღეს, ხოლო აქ სანუგეშო ეს არის, რომ ხუთ სარგებლიანის გირავნობის ფურცლის ქონა არავითარს ზარალს არ მიაყენებს ჩვენს ბანკსა: არ გავა კარგად, არ განაღდება რიგიანად, გამგეობა ბანკისა არც იქონიებს ამისთანა ფურცელს და ამით გათავდება საქმე.

საჭიროა მხოლოდ ნება ჰქონდეს ჩვენს ბანკს ამისთანა ფურცლების გამოცემისა, იმიტომ-რომ თუ ამისთანა ფურცელი კარგად განაღდდა, ბანკს შეეძლება 1%—2%-მდე გააიაფოს აწ არსებული კრედიტი და ეს დიდი შეღავათია ქვეყნისათვის, ვისაც-კი ბანკისაგან სესხის აღება ეჭირვება.

თვით ბანკისათვისაც დიდად სასარგებლო იქნება გაიაფება კრედიტისა, ჯერ იმიტომ-რომ იაფი სესხი ბევრს მსესხებელს მოიზიდავს და ვინ არ იცის, რომ ათისაგან, მაგალითებრ, თითო მანეთის მოგება უფრო ბევრს შეადგენს, ვიდრე ორისა და სამისაგან ორ-ორის და სამ-სამის მანეთისა, მერე იმიტომ-რომ იაფად აღებული ვალი ადვილად მოსაშორებელია მოვალესათვის და იგი მოვალე, რომელსაც ეადვილება ვალის გადახდა, პირველი ბურჯია ბანკის სიმაგრისა, რადგანაც უპირველესი წყარო ბანკის შეძლებისა შეძლებულობაა მოვალისა.

ადვილად ჭკვაში მოსასვლელია, რომ ხუთ სარგებლიანი გირავნობის ფურცელი იმოდენა ფასად არ გავა, რამოდენადაც ექვსიანი და აქ ერთის სარგებლის დაკლება თავს გამოიჩენს გირავნობის ფურცლის ფასის დაკლებაში. ხოლო თუ სახეში მივიღებთ იმ თაბაუთს, რაც დღეს არის ხუთ სარგებლიან და ექვს სარგებლიან სხვა ბანკების გირავნობის ფურცლებ შორის, ეგ დაკლება მაინც არ დააძვირებს კრედიტსა: დღეს სამისა და ოთხის მანეთით ნაკლებ იყიდება ასი მანეთი ხუთ სარგებლიან გირავნობის ფურცლისა. თუ ჩვენმა ხუთ სარგებლიანმა ფურცელმა ერთი ორად ამაზე მეტი იკლო, ეხლანდელ ფურცლის კვალობაზე, მაინც გაიეფება კრედიტისა ეჭვ გარე იქნება, იმიტომ-რომ აგრე დაკლებული ფურცელი ათ თუმნიანი ცხრა თუმნად მაინც გავა და ცხრა თუმანში ხუთი მანეთის გადახდა უდრის 5,55%-სა, მაშინ, როდესაც ეხლანდელის ექვსის სარგებლის კვალობაზე განაღდებულ გირავნობის ფურცელზედ მოდის $6^{18}/_{97}$%-ი. გაიეფება სარგებლისა პირველს შემთხვევაში, თუმცა დიდი არ არის, მაგრამ იმოდენად საგრძნობელია, რომ ღირს ანგარიშში ჩასაგდებად. ხუთ სარგებლიანმა ასის მანეთის ფურცელმა 82 მანეთამდე უნდა ძირს დაიწიოს, რომ ეხლანდელს სიდიდეს სარგებლისას თითქმის გაუსწოროს, თუ ფასს დღევანდელ ათ თუმნიან გირავნობის ფურცლისას 97 მანეთად ვიგულისხმებთ. არას გზით მოსალოდნელი არ არის დღეს, რომ ათი თუმანი ჩვენის ხუთ სარგებლიან ფურცლისა 82 მანეთზე მეტად არ განაღდდეს და რაც ამაზე მეტად განაღდდება, იმის კვალობაზე სარგებელიც ნაკლებად დაუჯდება ბანკისაგან მსესხებელსა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სესხი ნაღდად ნაკლები დადგება იმაზედ, რაც დღეს არის, ხოლო თვითეულ ნაღდს ასს მანეთზე სარგებელიც ნაკლები მოვა დღევანდელზე.

ყოველ ამის გამო უნდა ვისურვოთ, რომ წლევანდელმა კრებამ ბანკისამ შეიწყნაროს წარდგენილობა შესახებ იმისა, რომ ჩვენს ბანკს ნება მიენიჭოს ხუთ სარგებლიან გირავნობის ფურცლის გამოცემისაც.

## ახალი ამბავი

*** აგრონომი შ. მანოევსკი მთავრობას დაუნიშნავს ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის ბ-ნ ი. ს. ხატისოვის თანაშემწედ.

*** ხმა ისმის, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული ტიხეევის ალაგას, თუ იგი ახალ სამეურნეო სამინისტროში გადაიყვანეს, დანიშნულ იქნება ბ-ნი მოროზი, რომელიც ამ ჟამად ბ-ნ ტიხეევის კანცელარიაში მსახურობს და დროებით იმის თანამდებობას ასრულებს.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდნენ საგენერალო შტაბის გენერალ-ლეიტენანტი მაქსიმოვსკი და პოლკოვნიკი ბარანოვი, რომელნიც მიემგზავრებიან ბაქოსკენ იმიერ-კასპიის მხარეს. აზრი ამათის წასვლისა იქ ის

---

— მაცხოვარმა იხსნა ხალხი.

ლათო პატარა ჩაფიქრდა. გიგლაც გაშტერებული ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქო, უკვირდა ეს რა კარგად მომაგონდაო.

— ბიჭო, მართლა, შენ დიაკვნობა გინდოდა, გეცოდინება: მაცხოვარმა ხალხი რით იხსნა?

— სიკვდილით, მიუგო მალე გიგლამ.

— ჰო, მართლა, ეგ ხომ მეც ვიცოდი... სიკვდილით... მაგრამ ნიკო... არა, ბიჭო, მხსნელი-კი არა, ღმერთია. ყველა ასე ამბობს.

— არა, მხსნელიაო.

— ღმერთიაო, ბიჭო.

— მხსნელიაო, გოგო.

— ოჰ! ოჰ! ქაჯების მაყარი ხარ სწორედ. ჯიბრში ჩამიდექი, ბევრს გაიტან.

— სოსეზე რაღას ამბობს, გააწყვეტინა მოხუცმა, რომელიც იმათს გაცხარებულს ბაასს ყურს არ უგდებდა და რაღაც სხვა ფიქრებში იყო გართული.

— რა არის, პაპა, რომ ჩემი სიტყვა არა გჯერა,—უსაყვედურა ლათომ. ხომ გითხარი რომ ბატონი ყოველ დღე სოსეს ხსენებაშია-მეთქი. უთუოდ დაეიხსნიო, ამბობს.

— ნუ გამიჯავრდები, დედა, ისე ვკითხამ. აღარა მესმის-რა, გამოვყრუევდი. გული აღარა მაქვს, შვილო, სულ იმაზე მინდა ლაპარაკი. სხვასგანაც მინდა გავიგონო. არ გამიჯავრდები, ჩემო სიცოცხლევ, განა? ხომ გებრალები, დედა?

ლათო გულ-ნატკენი მეორე ოთახში გავიდა. მოხუცმა ტანჯული სახე მიმავალს გააყოლა.

— ვაწყენინე განა, შვილო? ჰკითხა მან ჩუმად გიგლას.

— არა, ისე გავიდა, დაამშვიდა გიგლამ.

— როგორ არა, ვაწყენინე, წარმოსთქვა დანანებით მოხუცმა: გამოვსულელდი, შვილო. აღარავის ფასი და ყადრი აღარ ვიცი. პატარა ხანს შემდეგ ლათო მხიარულად შემოვარდა:

— პაპა, იცი, პაპა, ბატონმა რა მითხრა?

— რაო, შენი კენესამე, რაო?..

— ჰო, დაიღალე, სულს ვერ ვიბრუნებ... ჰო, ის მითხრა რომ... ჰო, ჯერ შენ მოგიკითხა. მერე! ღმერთო, მამაგონე რა მითხრა?

— სოსეზე...

— ჰო, მართლა ყოჩაღად იყავიო, შემოგითვალა. სოსეს ფიქრი ნუ გექნებაო.

— ჰო, დედი, ეგრე გამახარე, ჩემო სიცოცხლევ!

— იცი როგორ იყო, უამბობდა ქლოშინით ლათო: „ზალაში“ გაველ ისე, ტყუილად. აივანიდგან ხალხის სიცილი მომესმა. გავიხედე... აი, შიო შემოვიდა, ეს გიამბობს, როგორც იყო. ისე არ მითხრა, შიო!..

— გამარჯობა, მოხუცო, მიესალმა შიო, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა სახლში.

— გაგიმარჯოს, შიო, მიუგო მოხუცმა: ალაგი მოუძებნე გოგო... რას ამბობს, შიო, ბატონი?

— ფიქრი ნუ გაქვს, მოხუცო. კარგი ბატონი გამოგვადგა. ღმერთმა აცოცხლოს. მაგასთან არა გვეშავსრა.

— ნეტავი, შენის სიცოცხლით.

— აჰ, აჰ! აკი გეუბნები, ნუ გეშინიან-მეთქი. მადლიანი კაცია, ქვეყანას შესძრავს.

— ხომ გითხარი, პაპა...

აჰ, აჰ, მაგას სიტყვა არ უნდა! ჩვენის რჯულის კაცია.

— წრევანდელი ღალა ყველას აჩუქა, შენიშნა გიგლამ.

— დღეს კიდე გვითხრა, ტყის ბაჟს არ გამოგართმევთო, დაუმატა შიომ.

— ... და მაგ ფულებითაო... რა, შიო? რაღაცა ბძანა, მეც გავიგონე, სთქვა ლათომ.

— მაგ ფულებით თქვენს შვილებს სკოლა გაუმართეთო.

— ჰო, სკოლა გაუმართეთო და იმ სკოლაში თქვენი შვილები ჩემსავით ისწავლიანო. ასე არა თქვა, შიო?

შიომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ხომ ჰხედავ, პაპა, რა კარგი ბატონი გვყავს! უთხრა ლათომ მოხუცს და ალერსის გამოსახატავად ჩოხის კალთა მუხლებზედ გადმოუწია.

— ვხედავ, შვილო, როგორ არა ვხედავ. ღმერთმა დიდი დღე მისცეს! ჩვენ მაგიერად ის გადაუხდის!

— საქმეზე რაღას ამბობს, შიო? არა დაგიშავდებათ-რაო?

— აკი გეუბნები, ძალიან გვაიმედებს.

— არა დაგიშავდებათ-რაო, ჰა?

— დაბეჯითებით ვერ ამბობს, ეეცდებიო.

— სოსეზე რაღას ამბობს?

— იმაზედაც იმას ამბობს. დიდს სასჯელს არას მისცემენო. ორიოდე თთვეს ჩასმენ ციხეში, მეტი არაფერიო.

— ორიოდე თთვესაო! გაიმეორა მოგუცმა და ნაღვლიანად თავი გადიქნია: ეგებ ველარც-კი მოვესწრო! რა ვქნა, ოღონდ ის იყოს ცოცხალი და...

— აი ვნახოთ, რა ამბავს მოგვიტანს. ხვალ ქალაქს აპირობს წასვლასა და...

— ქალაქს აპირობს? ჰკითხა გაკვირვებით ლათომ: თითონ ბძანა, შიო?

— თითონა ბძანა.

— როდის დავბრუნდებიო მერე?

— ასე, ორიოდე დღე მომიგვიანდებაო.

სასტუმრო ოთახიდგან ნიკოს ხმა მოისმა.

— სუ!.. გიგლაო, ბიჭო, არ გესმის? გაუჯავრდა ლათო და ფეხზე წამოდგა.

— ბატონი გიბძანებს, დაუმატა შიომ.

— გიგლაო, გოგო! შენთვის ხომ არ დაუძახნია? შენ სადლა მოდიხარ! გადუხადა გიგლამ.

— შე რა გინდა, ბიჭო! შეუტია გულ-მოსულმა ლათომ, მაგრამ თავადვე შერცხვა და უკანვე დაიწია.

შიო პატარა ხანს კიდევ იჯდა. ჩიბუხი მოსწია, მერე ერთი გაიზმორა, მოხუცს მშვიდობა უთხრა და გამოვიდა.

ლათო, მოხუცის მკერდზე მინდობილი, ჩაფიქრებული იყო, თავის თმის ბოლოს მოხუცს ხელზე სცემდა და ეალერსებოდა. მოხუციც, თავ-ჩაკიდული, უძრავად იყო, თითქო არ უნდოდა ლათოს განძრევა.

— რას მილიტინებ მაგ თმითა, პაპა! ჰკითხა ალერსით მოხუცმა.

— გელიტინებ, განა! გაუცინა ლათომ და თმის ბოლო მოხუცს ცხვირზე მიადო. მოხუცმა ჩაიხიხინა, კანკალით აიღო ლათოს ხელი და უსინათლო თვალებზე მაგრად მიიხუტა.

ლათო ღიმილით შესცქეროდა მოხუცს და იმის გულში რაღაც სიბრალული აღიძრა. მარცხენა ხელი მოხუცს კისერზე მოჰხვია, თავის სახე მიუახლოვა და სიყვარულით ჰკითხა:

— ძალიან გიყვარვარ, პაპა, განა? შემომხედე, სულ ახლო ვარ, ვერა მხედავ?

— აბა, სიცოცხლევ, დამენახვე. ეუბნებოდა ხმის კანკალით მოხუცი და უფრო და უფრო აჩერდებოდა ლათოს.

— გხედავ... ჰო, გხედავ... როგორ არა! აი ჩემი საყვარელი სახე. ჩემი სიცოცხლე... ანათებს... ჰო! დალოცვილო, ღმერთო! პატარა თვალის ჩინი შეგშურდა ჩემთვის!? ვერა, შვილო, ვერა გხედავ... სულ დავბრმავებულვარ, სთქვა ტირილით მოხუცმა და ლათოს სახე მხურვალედ გულში ჩაიკრა.

ლათო ისევ მოხუცის გულზე იყო მიხუტებული, როდესაც გიგლა შევიდა.

— გოგო, ბატონმა — დაიძინეთო, აღარ მჭირიხართო, უთხრა იმან შესვლის უმალ.

— შენი თავი მოატყუე! რამ-

არის, რომ, ბ-ნ სამხედრო მინისტრის ბრძანებით, იმიერ-კასპიის მხრის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა რევიზია და-წვრილებით უნდა მოახდინონ.

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ აფხაზეთში, მთავრობას განკარგულებით, იმათ, ვისაც მართლ-მადიდებლობა მიუღია, ჯარის-კაცად აღარ გაიყვანენ. ყველა ამისთანა აფხაზნი ვალდებულნი იქნებიან მხოლოდ ფულით გადაიხადონ ეს სავალდებულო სამხედრო ბეგარაო.

*** მოსკოვი: პროფესორს კონსერვატორიისას და დირექტორს მოსკოვის სინოდალურის ხოროსას, ბ-ნს სტეფანე ვასილის ძეს სმოლენსკის, მოსვლია აზრად, რომ დიდი ნათესაობა უნდა იყოს ქართულსა და ბიზანტიურ სასულიერო გალობას შორისო. პატივცემული პროფესორი უკვე შესდგომია მასალების შეგროვებასა და ქართულ-ბიზანტიის საგალობლების შედარებასა და შეთანხმებას.

*** იქიდამვე: 2 მარტს ბ-ნს ხახანაშვილს მოუხსენებია მოსკოვის ეტნოგრაფიისა და ანტროპოლოგიის მოყვარეთა საზოგადოების აღმოსავლეთის კომისიისათვის ბ-ნ გ. წერეთლის ვრცელი წერილი გელათის მონასტრის შესახებ. ნაწილი ამ წერილისა ცალკე იქნება რუსულად დაბეჭდილიო.

*** გორი: ვინ არ იცის, რა გაჭირებულია ხალხი უხიდობით მტკვარზე გორს ზემოდ. წინანდელი ხიდი სოფელს სკრაში დიდი ხანია დაძველდა და ზედ სიარული აღარ ხერხდება. თ. ციციშვილები აპირობდნენ თავიანთის ფასით ხიდის გაკეთებას ს. ქარელს ახლო, მაგრამ ამ საქმის შესახებ ხმა როგორღაც მისწყდა და აღარა ისმის-რა. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, გორის მაზრის უფროსი შუამდგომლობს ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ მთავრობამ გაუწიოს დახმარება ხალხს ხიდის გაკეთებაში. გამოანგარიშებული ხიდის ხარჯი არ აღემატება 13,000 მ., როგორც სჩანს აქაურის ხუროთ მოძღვრის ფონ გეიდერ ბაროვსკის ხარჯთაღრიცხვიდამ. ამ ფულში მაზრის უფროსი ორ წილს სთხოვს მთავრობას და მესამედს ხარჯს ადგილობრივვე აპირობს მოგროვებას. უეჭველია, მთავრობა მიიღებს მხედველობაში ხალხის გაჭირებულს მდგომარეობას და, რამდენადაც შესაძლებელია, დაეხმარება ამ საქმეს ფულით.

*** გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია ტფილისის 1-ლ გიმნაზიის დირექტორის წერილი, რომ სამი კვირაა უკვე, რაც გიმნაზიის სამკურნალოში აღარავითარი გადამდები ავადმყოფობა აღარ არის და თვით სადგომი სამკურნალოსი მკურნალის ხელმძღვანელობითა და ჩვენებით განწმენდილ იქმნა წამლების მოპკურებითა და ბოლებითაო, ისე რომ ახლა გიმნაზიაში სრულიად აღარავითარი შიში არ არის რაიმე მოარულის გავრცელებისაო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე ამბობს, რომ ტფილისის კლუბის ზოგიერთ წევრის თაოსნობით, სამშაბათს, 13 მარტს, კლუბში გამართული იქნება კონცერტი წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდაო.

*** იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ თავად არჩილ აბაშიძისათვის თოფი უსროლიათ სოფელ ქობულეთის მცხოვრებთ ნოლანდელსა და ვერულიძეს, რომელთათვისაც კინტრიშის განყოფილების უფროსის მოადგილეს წაურთმევია პიბოდის თოფი.

*** 9 მარტს, ღამით, გოცირიძის ყავახანის ეზოში, რაჭის მაზრის სოფელს ხონორში მცხოვრებელმა გლეხმა დიმიტრი მათეს ძემ ბუაძემ ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა ტფილისის მცხოვრებელი პეტრე დავითის ძე უთნელიძე. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. დამნაშავე შეიპყრეს.

*** პოლიციის მესამე ნაწილში, 8 მარტს, მკურნალმა მაღალაშვილმა პოლიციელის თანადასწრებით დაათვალიერა ყავახანის ეზოები, ხორცისა, თევზისა და ხილის დუქნები და ყოველივე თავის რიგსა და წესზე ნახა.

*** 8 მარტს ქალაქის მკურნალმა მრევლიშვილმა მერვე ნაწილის პოლიციელის თანადასწრებით დაათვალიერა სახაბაზოები, ხორცისა, თევზისა, საჭმლის საკეთებელი დუქნები და ტრაქტირები. გადააყრევინეს 20 გირ. გაფუჭებული თევზი. ერთს მეპურეს აღმოაჩნდა 15 გირ. გამოუმცხვარი პური, რომელიც უმაწვილების თავ-შესაფარში სასუხრედ იქმნა გაგზავნილი. აგრეთვე ზოგიერთ ტრაქტირებშიაც იპოვეს მოუკალავი ქვაბები, აღუკრძალეს იმათი ხმარება და დაავალეს ყოველთვის მოაკალვინონ ხოლმე.

*** 7 მარტს პოლიციის მეორე ნაწილში, პოლიციელისავე თანადასწრებით მკურნალმა მაღალაშვილმა დაათვალიერა დუქნები ხორცისა, საჭმლისა, ტრაქტირები, სახაბაზოები, აგრეთვე გასინჯა იმათის ეზოებისა და ქუჩების სანიტარული მდგომარეობა და არავითარი ურიგობა არ შეუმჩნევია.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალ „Историч. Вѣстникъ“-ის მარტის ნომერში კვლავ დაბეჭდილია ბ-ნ ვ. ზოტოვის წერილი იმის შესახებ, თუ მეორმოცე წლებში როგორის თვალით უყურებდა მაშინდელის ადმინისტრაცია ბეჭდვით სიტყვას კერძოდ და სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეთ საზოგადოდ. ერთხელ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა იგნატიევმა დამიბარა და, მივედი თუ არა, სწრაფად წამოვიდა ჩემსკენაო, მოგვითხრობს ბ-ნი ზოტოვი.

— როგორ მოგივიდათ ეგ, რომ მთავრობის სამსახურში ხართ და მთავრობისავე განკარგულებას-კი ჰკიცხავთ და აძაგებთ.

ერთს წუთს შემომაჩერდა და პასუხს ელოდა, მაგრამ რა კი დაინახა, რომ გაოცებით ვუცქეროდი და არა მესმოდა რა იმის საყვედურისა, განაგრძო:

— თქვენს გაზეთში დაგიწერიათ, რომ ნევის ქუჩიდგან ზღვის ქუჩისაკენ ერთი დაგლეჯილი ტანისამოსიანი მეეტლე გაშმაგებით ერეკებოდა თავისს ცხენებს, ერთი მოხუცი დედაკაცი წამოაქცია კიდეც, მაგრამ პოლიციელები ვერ დაეწივნენ და ვერ დაიჭირესო!

ერთბაშად პასუხი ვერ მივეცი, მოვაგონდა, რომ მართლაც გაზეთის უკანასკნელს ფელეტონში ამის შესახებ რაღაც ჰქონდა ჩემს მეფელეტონეს პ. მ. შპილევსკის.

— ფელეტონში, სხვათა პეტერბურგის ამბავთა შორის, მაგის შესახებაც იყო რაღაც. ჩემს თანამშრომელს, ფელეტონის დამწერს, თითონ უნახავს თავისის თვალით ეს ამბავი, ვუპასუხე მე.

— ვერაფერს ვერა ჰნახავდა, ცხარედ მიპასუხა იგნატიევმა: მეეტლებს სასტიკად აქვთ აღკრძალული ჩქარი სიარულიც-კი და აგრეთვე დაგლეჯილის ტანისამოსის ტარება. პოლიციელებს ბრძანება აქვთ გაცემული, რომ ყველა შეაყენონ, ვინც-კი ამ წესს დაარღვევს. რაკი დაჰბეჭდეთ, რომ ამ კანონს არ ასრულებენო, ამით უმაღლესს მთავრობას ბრალსა სდებთ უმოქმედობისას, და ამას გარდა პოლიციელებსაც რჩევას აძლევთ, რომ ქუჩებში წესი და რიგი დაიცვეითო და ნუ ამთქნარებთ, გამოფხიზლებული ნუ სდგახართო. მერე ვინ მოგცათ რჩევის მიცემის უფლება?

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ვუპასუხე:

— ჩემის აზრით, სასარგებლო რჩევის მიცემის უფლება ყველასა აქვს, განსაკუთრებით კი იმას, რომლისთვისაც უფლება მიუნიჭებიათ ნაბეჭდის სიტყვით საზოგადოებასთან ლაპარაკისა. პოლიციელი უმაღლესი მთავრობა არ არის და რა დიდი ამბავი მოხდარა, თუ უთქვამთ მისთვის, რომ შენს საქმეზედ კარგად გეჭიროს თვალ-ყური. გაზეთში დასახელებული მიზეზი პოლიციელის უყურადღებობისა შეიძლება შემცდარიც იყოს, მაგრამ აგეთი ამბავი კი რომ მოხდარა, ამას ეჭვი არა აქვს.

— რას მიედ-მოედებით, ეჭვი არ არისო, შემომძახა წყრომით იგნატიევმა: გიმეორებთ, რომ შეუძლებელია მაგისთანა ამბავი მოხდარიყო. აგეთი ამბავი რომ ყოფილიყო, პოლიცია უეჭველად მაცნობებდა.

— რა-კი ცენზურამ შესაძლებლად იცნო მაგის დაბეჭდვა, თუმცა თითონ არა ყოფილა დამსწრე, მაშ ალბად შესაძლებელი ყოფილა.

— თქვენ ცენზურასთან მე რა რა საქმე მაქვს, განაგრძო გენერალმა იმავ კილოთი: მე ვადევნებ თვალ-ყურს იმას, რომ პოლიციამ თავისი მოვალეობა რიგიანად შეასრულოს. მაგის შესახებ მე მაინცა და მაინც მოველაპარაკები სახელო განათლების მინისტრს. თქვენ-კი იმიტომ არ დაგიბარეთ, რომ თქვენი მჭევრმეტყველება მოვისმინო, იმიტომ მოგიწვიეთ, რომ უნდა გამოგიცხადოთ: მე უფლება მაქვს ადმინისტრატიულის წესით აღარ დავაყენო ამ ქალაქში და გავდევნო ყველა, ვინც-კი მოგონილის ამბებით სცდილობს ჰკიცხოს პოლიცია და უმაღლესი მთავრობა და ამით

---

დენი ხანია, ბატონმა დამითხოვა კიდეცა და მორჩა კიდეცა, მიუგო ლათომ ტასმანობითა.

— არ იტყვი, ბიჭო, რად გიბძანებდა ბატონი?

— არა.

— აი, პაპა, სულ ასე ჯიბრში მიდგია. სთქვი შე ჯოჯოხეთის მაშხალავ, მართლა აპირებს წასვლას თუ არა?

— უთხარი, ბიჭო, ნუ აჯავრებ, დაუმატა მოხუცმა.

— რა ვიცი, აპირობს თუ არა!

— მაშ რისთვის გიბრძანებდა, შე მაიმუნო?

— რისთვისა და რუსული საცვეთები გამიწმინდეო.

— მერე, ჰკვიანო, ვერ მიხვდი, რომ საცვეთებს ცხენით სიარულში ხმარობენ.

— ვერა.

— ვერა შენა და შენს თავსა, გამშორდი თავიდამ, გულს ნუ მიხეთქავ, შე თავ დიდა, ბრუციანო, კოჭლო...

— ჰე, ჰეი, დატრიალდა ჯარა! ჩამამითვალე, ჩამამითვალე აჰა, მივდივარ.

გიგლა გავიდა, მაგრამ იმ წამსვე კარებიდგან თავი შემოჰყო და დაღინჯებულის სახით კიდევ მიაძახა ლათოს.

— გოგო, ბატონმა ტანთ გაიხ... დაიძინეო, ეშმაკურად სთქვა გიგლამ და ისევ მალე გაიხურა კარები.

— ძალიან გაჯავრებს, დედი? ჰკითხა ალერსით მოხუცმა: გეხუმრება, შვილო, ყური არ უნდა უგდო.

ლათომ პასუხი არ გასცა, თითქო იმის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა. მოხუცი პატარა ხანს ლათოს უცდიდა, მერე გვერდზე მიგდებული ბალიში მოითრია და ლათოს ზურგში ამოუდო, რომ უფრო მოხერხებულად წოლილიყო. ლათო პატარა შეიძრა და კანკალით ამოიოხრა.

— როგორ ამოიოხრე, სიცოცხლე, რა იყო, დედა?! — ჰკითხა მოხუცმა.

— ისე, უპასუხა უხალისოდ ლათომ და უფრო მიეკრა მოხუცს გულს. კარგა ხანს არც ერთი არ იღებდა ხმას. რაღაც ნაირ მწარე სახით დასცქეროდა მოხუცი თავის შვილიშვილს, რომელიც უცნაურად გაყუჩებულიყო. მოხუცმა კანკალით მოჰხვია ხელი ფართოდ ჩამოშლილს ლათოს თმას და მაგრად და დიდხანს მიიკრა ტუჩებზე. მერე მთელს სახეზე მიიკრა და, თითქო აღელვებამ მეტად დაჰღალაო, თმასთანვე ერთად ხელი ძირს ჩამოუვარდა.

— რა იყო, პაპა? იკითხა უცბად ლათომ, რომელსაც მოხუცის ხელი მოხვდა და რაღაც ოცნებიდან გამოიყვანა.

— იყო რამე განა, დედი?.. სად მიხვალ, პაპა? ჰკითხა თავის მხრით მოხუცმა, როდესაც ლათომ წამოდგომა დააპირა.

— დასაძინებლად უნდა გავიდე, დედაკაცი კიდეც დაიძინებდა აქამდინ.

— რა უშავს, შვილო, შეეხვეწა მოხუცი: დღეს ჩემს გულზე დაძინე, სიცოცხლე, გული მიწუხს, მარტო ვარ.

— გეშინიან განა, პაპა? გაეხუმრა ლათო და ისევ მიეხუტა: კარგი, შენთან დავიძინებ. მაგრამ ჯერ მეზარება ადგომა, პატარა ხანს კიდევ აქ ვიქნები, კარგადა ვარ.

— ჰო, დედა, შენი კვნესამე, სულ ასე გაათენე.

— პაპა!.. დაუძახა ლათომ და ისევ ჩაჩუმდა, თითქო კინაღამ რაღაც წამოსცდაო.

— რაო, დედი? მიატანა მოხუცმა.

— იცი რა!.. უპასუხა პატარა ხნის შემდეგ ლათომ: თითქო რაღაც მწყურიან, სულ მიძგერს გული.

— რად გიძგერს, შვილო, ჰკითხა ღიმილით მოხუცმა და გულზე ხელი დაადო: ჰეი! რა კურდღელსავით გიხტის! მართლა კურდღელი ხომ არ ჩაგისვამს? აბა ერთი გამოახტუნე, დავინახო?

— ოჰ, ნეტა მალე გათენდეს? ამოიოხრა ლათომ.

— რად გინდა, დედი?

— ბატონს დავინახამ.

— ძალიან გინდა იმისი ნახვა?

— იცი, პაპა, ბატონი ხომ აი ოთხ ოთახს იქით არის, მაგრამ მე ისე ნამდვილად ვიცი, როგორ სძინავს, ხელები როგორ უწყვია, თავი როგორ უძევს...

— საიდგან იცი, გულთმისანი ხომ არა ხარ?

— ვიცი!

— გინახავს როდისმე მძინარე!

— ჰო, ვნახე, როგორც ეხლა ვხედამ, ისე ეძინა მაშინ. კარები ღია დარჩენოდა. დიდხანს ვუყურე... ვუყურე... მერე ჩუმად შევიპარე, საბანს ვაკოცე და გამოვიქეცი.

— ძალიან გიყვარს, შვილო, ბატონი!

ლათომ თავი დაიქნია და თვალები გაუშტერდა.

— გიყვარდეს, შვილო, ჩვენი კარგი პატრონია! სთქვა ამოხვრით მოხუცმა

— რა იყო, დედი, ეგრე უცბად რაზე მომეკარ გულში! სთქვი, დედი, გამახარე!

— ხვალინდელ დილას გაულიმე, პაპა. ისეთი მიყვარს დილა! ბატონი რომ დილაზე გამიღიმებს ხოლმე, ნიკაპზე ხელს მომიჭერს და მომეალერსება... პაპა, რატომ ბატონსა და გლეხს შუა არ არის და ძმობა?.. ჰკითხა გულის ტკენით ლათომ. რა კარგი იქნებოდა! არა, პაპა? მაშინ ხომ მეც შემეძლებოდა ალერსი, ეხლა-კი...

ლათომ არ დაასრულა სიტყვა, ჩუმად ამოიოხრა და ბავშვსავით მოხუცს კისერზე ხელი მოჰხვია.

— მომეხვიე, შენი ჭირიმე, შვილო, მომეხვიე! ანგელოზი ვის არ უყვარს!..

— გესმის, პაპა, მამლები ჰყივიან, მალე გათენდება, არა?

— ჰო, შვილო, ჰო, ეუბნებოდა მოხუცი და უფრო და უფრო გულში იკრავდა ლათოს.

ლათოს მიეძინა. მოხუცი დიდხანს კიდევ ჩასჩერებოდა საყვარელს სახეს და თუმცა გულით უნდოდა დაენახა თავისი საუნჯე, მაგრამ ვერასა ჰხედავდა. ნამტირალ ბავშვსავით ლათო ხანდახან ძილში ამოიოხრებდა ხოლმე და ეს ოხვრა მოხუცის გულს ისარივით ესობოდა და უჭრიდა გულღვიძლს. ბოლოს, თითქო ლათოს სუნთქვამ დაათროვო, მოხუცს კისერი მოსწყდა და ჩაეძინა.

იმ დროს, როდესაც პაპა თავის შვილიშვილს ალერსით ზედ დასცქეროდა, გარედგან ლათოს სარკმლის წინ, დიდის ხნის დგომით დაღალული, გიგლა ხელებით ძლივს ღა იმაგრებდა მუხლებს, რომ არ წაქცეულიყო. თავის დიდს გახურებულს შუბლს ხან ცივ კედელს მიადებდა, ხან ხელის გულით მაგრა იზელდა, თითქო რამ მწარე ფიქრი სტანჯავსო.

— არა... გახრინწიანებულის ხმით წამოიკნავლა გიგლამ: მე ამის ბედიც არ მქონია... თითქო ჩემს სატანჯველად დღეს არ მიდის დასაძინებლად!.. წავალ... წავალ, მივეგდები, ევებ თავი დავივიწყო... კოჭლი... ღარიბი... ულონო... ეჰ, ღმერთო, რა გასაჩენი ვიყავ!..

კედელზე ხელების ბჯენით, საცოდავის კვნესით უბედური ძლივს მიათრევდა ფეხებს. მოხუცის სარკმელს რომ გაუარა, პატარას შეჩერდა. თვალები აენთო, შუბლი გაუხურდა, მთელს იმის არსებას ცეცხლი მოედო. ორი ნაბიჯი წასდგა წინ, რომ კედელს მიჰყუდებოდა, მაგრამ უცბად თითქო რაღაცამ შეაჩერა. საცოდავად დაღრეჯილი სახე მაღლა აიღო და გულით შეჰვედრა:

— ღმერთო, ნუ მიწყენ! შენდობა შენს მტვერს. ტანჯვა მაკმარე, სიკვდილი მომე!..

ამ სიტყვებით თავ-დაღუნული სიჩქარით გამოტრიალდა და თავის თავს საზარლად სწყევლიდა.

უმანკო არსებას ეძინა და წმინდა მოხუცი ჯერ კიდევ ძილს არ შეეპყრო და ისევ წელანდელივით სთელემდა.

პალიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

მკვიდრთა შორის იმათი უნდობლობა ჩამოაგდოს. ამიტომ ნურას უკაცრავად, რომ, თუ მეორედ მოგიხდათ მაგისთანა მარცხი, მე ჩემს უფლებას მივმართო თქვენ ასალაგმავად.

მიბრძანა ეს სიტყვები იგნატიევმა უფროსის კილოთი, იმ კილოთი, რომელსაც წინააღმდეგი პასუხი ვერ გაუბედება, ზურგი შემომაქცია და საჩქაროდ შევიდა იმ კარებში, საიდგანაც გამობრძანდა ორის მოხელის თანხლებით, იმ მოხელისა, რომელნიც ჩვენს ლაპარაკს დაესწრნენ მდუმარებით და ეხლაც უკან შეჰყვნენ.

ამის შემდეგ ცენზორსაც საყვედური მოუვიდა თურმე იმ ამბის დაბეჭდვისათვის და დასასრულ-კი ის მოჰყვა, რომ კარგა ხანს ბ-ნ ზოტოვის გაზეთში ველარა ჰბეჭდავდნენ სიტყვებს „პოლიცია“, „პოლიციელი“ და „მეეტლეც“-კი. ძნელად დასაჯერებელია ეს ამბავი, მაგრამ რას იზამთ, ჭეშმარიტებაა, უტყუარი და ეჭვ-შეუტანელი ამბავი.

# რუსეთი

27 თებერვალს პროფესორს ი. ი. იანჟულს საჯაროდ წაუკითხავს ერთად საინტერესო ლექცია იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებითავრცელებენ ინგლისისა და ჩრდილო-ამერიკის მეცნიერები უმაღლესს განათლებას მდაბიო ხალხში. აი შინაარსი ამ ლექციისა:

ნიუ-იორკის დასავლეთად 931 ვერსის მანძილზედ მდებარეობს ტბა „შოტოკო“. ამ ტბის ერთს განაპირას გაშენებულია სოფელი, რომელიც რამდენსამე ქოხს არ აღემატება. სოფლის შუაგულში დიდი მონასტერია ამართული.

ზაფხულში ტბის ნაპირსა და იმის ახლო გორაკებზე დროებით მოსული ხალხი აქა-იქ გაშლის ხოლმე რამდენსამე ასს კარავს. სოფლის მოშორებით მუხნარს ტყალაში უზარმაზარი შენობაა გამართული, რომელსაც წარწერილი აქვს „ტაძარი ფილოსოფიისა“. ეს ტაძარი აშენებულია ერთის „სალიტერატურო და სამეცნიერო საზოგადოების“ თაოსნობით. ეს საზოგადოება დაუარსებიათ 1878 წელს და საგნად აქვს: 1) გაავრცელოს მდაბიო ხალხში სწავლა ბუნებისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისა და ლიტერატურისა და 2) მიაჩვიოს იგი სწორსა და მართალს მსჯელობას. ამ კეთილ განზრახვის შესასრულებლად ორს საშუალებას ხმარობენ: 1) საზოგადოება ჰბეჭდავს სახალხო, ადვილად გასაგებ წიგნებს და იაფ ფასად ავრცელებს ხალხში და 2) შოტოკოს ლექტორები და პროფესორები ჰკითხულობენ ლექციებს მდაბიო ხალხისთვის ადვილად გასაგების ენით. გარდა ამისა, ვისაც სურს, ერთს მანათს შეიტანს და „შოტოკოელ სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოების“ წევრად იქნება ჩარიცხული. თუ რომელმამე წევრმა ერთ-ერთი სალიტერატურო ან სამეცნიერო საკითხი ვერ გაიგო, მაშინ იგი წერილით მიჰმართავს „ცენტრალურს საზოგადოებას“, რომელიც ვალდებულია მაშინვე აუხსნას და განუმარტოს. ამ ხანად „საზოგადოების“ წევრთა რიცხვი აღემატება 125,000. ზაფხულობით შოტოკუას „უნივერსიტეტში 65—75 ათასამდე კაცი იკრიბება.

ინგლისში უმაღლესის სწავლის სახალხოდ გავრცელებას პირველად ქალები შეუდგნენ. ზოგიერთს დიდ ქალაქში ამ ოცის წლის წინად დაარსდა რამდენიმე „დიდი საზოგადოება“, რომელიც მხოლოდ ქალების განათლებისათვის ზრუნავდა. შემდეგ ამისა ამ საქმეს მოჰკიდეს ხელი თვით უნივერსიტეტებმა. უნივერსიტეტისაგან დანიშნული ლექტორები თითქმის მუქთად უკითხავენ ხოლმე მუშა ხალხს ლექციებს, ისე რომ ვინც-კი მოიწადინებს, ყველას შეუძლიან უმაღლესის სწავლის მიღება. ამ ჟამად, უნივერსიტეტებს გარდა, ინგლისში არის კიდევ 173 საზოგადოება, რომელსაც აგრეთვე იგივე აქვს საგნად, რომ უმაღლესი სწავლა-განათლება გაავრცელეს მდაბიო ხალხში. ამ საზოგადოებებს 150 ქალაქში აქვთ გამართული ლექციები. სწავლის მეთოდი ისე მარტივია, რომ უბრალო მუშებიც გაუჭირებლად ითვისებენ ყოველ გვარ მეცნიერებას და სწავლა-განათლებით ნამდვილ სტუდენტებს თუ არ აღემატებიან, არ ჩამორჩებიან. ბევრს მუშა კაცს, ამ გვარად განათლებულს, „კანდიდატობა“ და სხვა ამ გვარი სამეცნიერო ხარისხი ც-კი მოუპოვებიათ.

# დეპეშა

საკუთარის კორესპონდენტისაგან.

როსტოვი. დონისა. დღეს, მარტის 9-ს, რკინის გზის სადგურზე უცბად გარდაიცვალა ტფილისის ცნობილი კომპოზიტორი ყორღანოვი. როგორც აქ ამბობენ, სიკვდილის მიზეზი გულის ფრიალი ყოფილა.

7 მარტი

პეტერბურგი. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ემზადება წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს პროექტი იმ დებულების ცვლილებათა და დამატებათა, რომელიც შეეხება კერძო სამთა-მადნო მრეწველობას სახელმწიფო მამულებში. აზრადა აქვთ მთის მადანთა შორის ჩაითვალოს აგრეთვე შაბის ქვა და ალებასტრი და უნდათ დააწესონ, რომ იმათ, ვისაც ნება არა აქვთ ამ საქმეს ადგნენ, და მთა-მადნის მრეწველთ, რომელთაც ეს ნება უკვე დაუკარგავთ, ორის წლის განმავალობაში უნდა გაჰყიდონ თავიანთი სამრეწველო საქმე, თორემ საჯარო ვაჭრობით იქნება გასყიდული და, რასაც ფულს აიღებენ, საქმის პატრონს გადასცემენ.

ლივერპული. მუშების მიერ მუშაობის აკვეთის საქმე გათავდა.

ბერლინი. იმპერატორმა შეიწყნარა თხოვნა თავადის. ბისმარკისა და გაანთავისუფლა ყველა საიმპერიო და სახელმწიფო თანამდებობისაგან. გენერალი კაპრივი (?) დანიშნულ იქმნა თავადის ბისმარკის მაგიერად.

8 მარტი

პეტერბურგი. „С.-Пет. Вѣд.“-ი ამბობს: ხმა დადის, რომ ამ ცოტა ხანში სახელმწიფო საბჭოში განხილულ იქმნება იმის პროექტი, თუ როგორ იქმნეს ხოლმე პირუტყვი დაზღვეული მთავრობის დახმარებითაო.

ოფიციალურად: გიმნაზიის სწავლის ცვლილების პროგრამა უკვე შედგენილია და განიხილება განსაკუთრებულის კომისიის მიერ, რომელსაც საერო განათლების სამინისტრომ ვალად დასდო აწინდელ კლასიკურ სისტემის დაურღვეველად შეამციროს და გაასადაოს პროგრამები, რათა ამით მუშაობა შეუმსუბუქდეთ მოწაფეებს; ენათა გრამატიკა უმცროს კლასებში ისწავლებოდეს, ხოლო უფროს კლასებში მოწაფეებს უკითხავდნენ ძველთა მწერალთა ნაწერებს; შინ დასაწერი გაკვეთილები შემცირდეს; განიხილოს ის საქმე, თუ როგორ მოხერხდეს შემოკლებულ და ადვილად შესაგნებ სახელმძღვანელოთა შედგენა; სწავლა ისე მოეწყოს, რომ მოწაფეებს დრო ჰქონდეთ გიმნასტიკა და, თუ შეიძლება, მუსიკა და ხატვა ისწავლონ; თანაბრად იქმნას განაწილებული კლასებში მუშაობა ყოველ დღეს და განხილულ იქმნას მასწავლებელთა აზრი.

ბერლინი. კონფერენციის გუშინდელს კრებაზედ თ. ბისმარკმა უთხრა იტალიის დელეგატს: „გერმანიაც გერმანია და იტალია ერთის გზით იელიანო“. იმპერატორს მთავარ მართებელ გენერლებთან იმის შესახებ ჰქონდა მოლაპარაკება, თუ როგორ უნდა მოეიხმარონ ჯარი მუშათა მიერ პირობის შეკვრით მუშაობის აკვეთისა და აურზაურის დროსაო.

პარიჟი. საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა მშვიდად დაუხვდა ბისმარკის სამსახურიდგან გადადგომის ამბავს და იმ აზრისაა, რომ ეგ ამბავი ავსტრიოვენგრიასა და იტალიას უფრო შეეხება, ვიდრე საფრანგეთსაო.

9 მარტი

მოსკოვი. გუშინ ჰქონდა პირველი კრება მოსკოვში შუა-აზიის გამოფენის დამფუძნებელთა. დეპუტაცია ამოარჩიეს, რათა არზით სთხოვონ გენერალ გუბერნატორს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე გამოფენის გამართვის ნება-რთვისათვის. გამართვას აპირობენ წლევანდელს წელს საისტორიო მუზეუმის სახახლეში. იმ საქონელს, რომელიც გააქვთ შუააზიიდამ და აგრეთვე, რომელიც შეაქვთ რუსეთიდამ და უცხო სახელმწიფოებიდამ განსაკუთრებული ცალკე განყოფილება ექმნება. გარდა ამისა შუა-აზიიდამ, მომიჯნე სახანოებიდამ და სპარსეთიდამ გამოფენილი იქნება ნიმუშები ტყე-მინდვრის მცენარეობისა, პირუტყვ ცხოველებისა და აგრეთვე მადნეულობისა, ძველ ნივთებისა, იარაღისა, იქაურ მრეწველობის ნაწარმოებისა, საშინაო ჭურჭელ ავეჯეულობისა, ბამბისა, აბრეშუმისა, მატყლისა და თამბაქოსი. გამოდის ვადად ჰფიქრობენ ოთხს თთვეს. გამოფენის გამართვაში მონაწილეობას იღებს ასი გამოჩენილი ფირმა მოსკოვისა. ჯილდოდ იქნება: ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, საპატიო დიპლომები, მოწონების და ქების მოწმობანი.

ლონდონი. ქვა-ნახშირის თხრილების პატრონებსა და გაფიცულთა დელეგატებ შორის დღეს მორიგება მოხდა: დელეგატები დასჯერდნენ თხრილების პატრონებს მანეთზე ერთი შაური მოუმატონ დღეში მუშებს იმ პირობით, რომ 1-ს აგვისტომდე ერთი ამდენი კიდევ მოუმატონ.

პარიჟი. ლიონის კრედიტი გამოაცხადებს 25 მარტს სერბიის სესხისათვის ხელ მოწერას $26^{1}/_{2}$ მილიონ ფრანკისას.

ბერლინი. მშვიდობიანობა ბირჟისა, შერყეული თ. ბისმარკის სამსახურიდამ გისვლის გამო, ხელახლად დამყარდა. პოლიტიკის მდგომარეობას ეხლა უყურებენ გულ-დამშვიდებით. ერთობ ჰგონიათ, რომ იმპერიის კანცლერი ბერლინში დიდხანს არ დარჩება. კანცლერის სასახლის დაცლისათვის თ. ბისმარკმა ყოველივე განკარგულება უკვე მოახდინა.

„Norddeutche Allgemein Zeitung“-ი გაებასა რა „Frankfurter Zeitung“-ს, ამბობს, რომ არ არის მართალიო, ვითომც გასვლა კანცლერისა სამსახურიდამ წარმომდგარიყოს მუშათა საქმისაგანა. აზრთა სხვა-დასხვაობა ჰტრიალებდა უფრო სახელმწიფო-საუფლო საზღვრებში და საგნად იყო ერთის მინისტრის პასუხის მგებლობის მეტ-ნაკლებობა სხვა მინისტრების წინაშე და გარდა ამისა ძირეულნი დედა-აზრნი, დღეს აქამომდე მომქმედნი ამ პასუხის მგებლობის შესახებ. უმართლოა იმის თქმა, ვითომც თ. ბისმარკი მედგრად წინააღდგომოდეს კანონ-მდებლობით ღონის ძიებას. შესახებ მუშათა მფარველობისა. რეიხსტაგში 9 ს მარტს 1885 წ. იმპერიის კანცლერმა დაასაბუთა თავისი აზრი ამ საქმის შესახებ და თითონვე წარუდგინა იმპერატორს მოხსენება აწ შეკრებულ კონფერენციის თაობაზე. უარის თქმა კანცლერისა ვაჭრობის მინისტრის თანამდებობაზე სულაც არ არის ძალ-დატანებული, არამედ მის საკუთარ სურვილის საქმეა. სწორედ ესევე თითონ კანცლერმა ურჩია ამპერატორს მოისმინოს აზრი სახელმწიფო საბჭოსი.

„National Zeitung“-ს სიტყვით, იმპერატორის პასუხი თ. ბისმარკის თხოვნაზე შესახებ სამსახურიდამ გასვლისა გამოთქმულია გრძელ რესკრიპტში, რომელიც დანიშნულია გამოსაცხადებლად. ამ რესკრიპტში ქებით მოხსენებული ნამსახურობა კანცლერისა და გამოთქმულია უმაღლესი მადლობა.

კელნი. (სააგენტო ვოლფისა) «Koêlnich Zeitung»-ის სიტყვით, რესკრიპტი, რომელიც შეეხება თ. ბისმარკის სამსახურიდამ გასვლას, დღეს ნაშუადღევის სამს საათზე ჩააბარა თ. ბისმარკს გამგემ მის უდიდებულესობის სამოქალაქო საქმეთა კაბინეთისამ ლუკინუსმა და გამგემ სამხედრო კაბინეთისამ გენერალმა განკემ, იმპერატორის მინდობილობის ძალით.

პეტერბურგის ბირჟა, 6 მარტს.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგება. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 7 37 |
| ტრამოყნის კუპონები . . | — „ | „ | $147^{1}/_{4}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | — „ | 1 08 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 236 |
| —მეორისა . . . . . | $219^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | $217^{1}/_{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

საკალენდარო ცნობანი

—

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

10 დღე შაბათი. ქართველ. წმ. მოწამისა კოდრატესი და სხვ. კათოლ. წმ. ორმეოცთა წამებულთა. სომეხ. 27 დღე დიდმარხვისა წმ. სებასტია წამებულისა. პირველის ქართულის წიგნის მაღაზიის დაარსება ტფილისში 1878 წ. მზე ამოდის 6—0, ჩადის 6—15, ჭეშმარიტი შუადღე 12—7 მთვარე 2 დღისა.

11 დღე კვირა. ქართველ. წმ. მორის მამისა სოფრონისა, იერუსალემის პატრიარქისა. კათოლ. წმ. კონსტანტინე, ევლოგია და პელაგიასი. სომეხ. 28 დღე დიდ-მარხვისა. წმ. იოანესი და სხვ. მზე ამოდის 5—58, ჩადის 6—16. ჭეშმარიტი შუადღე 12—7 მთვარე 3 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა და აღმსაარებელისა თეოფანესი. კათოლ. წმ. გრიგოლ დიდისა და ტიბერიასი. სომეხ 29 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 5—57, ჩადის 6—17. ჭეშმარიტი შუადღე 12—6 მთვარე 4 დღისაა.


# განცხადებანი

თანახმათ მე-4 § განკარგულებისა, რომელიც სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან განცხადებულ ექმნა უმართებულეს სენატს ფილოქსერის გავრცელების წინააღმდეგ ღონისძიებათა შესახებ, კავკასიის ფილოქსერის კომიტეტი ამით აუწყებს, რომ მან სცნა ქუთაისის და შორაპნის მაზრებში, ქუთაისის გუბერნიისა, ფილოქსერის სენით მოდებულად ადგილები შემდეგ საზღვართა შორის: ჩრდილოეთით—ის ქედი, რომელიც ჰყოფს რიონისა და ყვირილის მდინარეობას და რომელზედაც იმყოფებიან მწვერვალნი: დალველულა, ხისამთა და საჩალიკო; ნაქერალას ქედი და მისი შტო თავშავი; ამ შტოდამ საზღვარი გადასჭრის რიონს და მიიმართება ხვამლის მთაზედ და ამ მთიდამ გადადის ცხენის-წყალისკენ; დასავლეთით—ცხენისწყალი; სამხრეთით—რიონი ყვირილის შესართავამდე და თვით ყვირილა; აღმოსავლეთით ყვირილა ფრონეს წყლის შესართავამდე, მერე თვით ფრონე, შემდეგ ქედი, რომელიც ჰყოფს ყვირილისა და ძირულას მდინარეობას, და ის ქედი, რომელიც ჰყოფს ტფილისის გუბერნიას ქუთაისის გუბერნიისაგან სირხლიბერტოს მთამდე.

ამას გარდა კომიტეტმა სცნა, რომ ფილოქსერის მხრით საეჭვოა მთლად ქუთაისის გუბერნია სოხუმისა და ბათუმის ოლქითურთ. (3—2)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «დომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.


Доз. ценз. Тифлисъ, 9-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Меликъ д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი. ილია ჭავჭავაძე